პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 223 (10 142) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის სპორტის სასახლეში 25—26 ნოემბერს

● ქართული ჭიდაობა ჩვენი ერის ლამაზი ტრადიციაა, რომელიც ხალხმა უხსოვარი დროიდან დღემდე შემოინახა.

● ალავერდის ტაძრის ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია ქართულ საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი ორი ფალავნის შერკინების ფრაგმენტი. ეს ფრესკა მეთერთმეტე საუკუნითაა დათარიღებული.

● მეცამეტე საუკუნის ისტორიულ წყაროებში შემონახულია ვინმე ხიზაბ. ბარელისა და ბებურიშვილის შერკინების ამბავი. ისინი მეფე ლაშა გიორგის თანამედროვენი ყოფილან.

● ცნობილია მეთხუთმეტე საუკუნეში მცხოვრებ მჭედაბუკის შერკინება თათართა ფალავანთან და ქართველი ვაჟკაცის გამარჯვება.



## ქართული ჭიდაობის მადლით

**მართალია,** ქართული ჭიდაობა შინაარსითა და ფორმით განსხვავდება სხვა ჭიდაობებისაგან, მაგრამ ძირი მაინც საერთო აქვს და ბევრ შემთხვევაში მათ საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. ეს რომ ასეა საქართველოს მოჭიდავეთა (იგულისხმება კლასიკური სახეობების წარმომადგენლები) საქვეყნოდ ცნობილი წარმატებებითაც მტკიცდება. 1952 წლიდან მოყოლებული ჩვენს ათლეტებს ჭიდაობის ოთხ კლასიკურ სახეობაში (თავისუფალი, კლასიკური, ძიუდო, სამბო) მოპოვებული აქვთ მსოფლიო ჩემპიონის 46, ევროპის ჩემპიონის 44 და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის 226 ოქროს მედალი. თუ მხედველობაში სხვა ხარისხის ჯილდოებსაც მივიღებთ (ვერცხლი, ბრინჯაო), ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დაზუსტდება და ასეთ სახეს მიიღებს:

| | | | |
|---|---|---|---|
| **მსოფლიო ჩემპიონატები** | 46 | 19 | 21 |
| **ოლიმპიური თამაშები** | 12 | 8 | 13 |
| **ევროპის ჩემპიონატები** | 45 | 32 | 25 |

მაინც ვინ, რომელი მოჭიდავეები ფლობდნენ უმაღლეს ტიტულებს (მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონების ოქროს მედლებს) ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში?

**თავისუფალი ჭიდაობა.** დავით ციმაკურიძე (ოლიმპიური ჩემპიონი), არსენ მეკოკიშვილი (ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი), ვახტანგ ბალავაძე (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი), მირიან ცალქალამანიძე (ოლიმპიური ჩემპიონი), გიორგი სხირტლაძე (მსოფლიოს ჩემპიონი), ვლადიმერ რუბაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი), გურამ სალარაძე (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი), ზარბეგ ბერიაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი), შოთა ლომიძე (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი), ლევან თედიაშვილი (მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონი იყო სამბოში), დავით გობეჯიშვილი (ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი), ლერი ხაბელოვი (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი).

**მწერალ ნუგზარ შატაიძეს ერთ-ერთ წერილში ჩვენი ეროვნული სანუკის სული ასე აქვს გადმოცემული: ქართული ჭიდაობა, როგორც სპორტის ყველა სხვა სახეობა ამაღლევებელი, ვაჟკაცური სანახაობაა. მაგრამ იგი თავისი შინაარსითა და ფორმით რადიკალურად განსხვავდება ყველა სხვა ჭიდაობისგან. აქ დაუშვებელია ძიუდოსა და სამბოსთვის დამახასიათებელი მტკივნეული და მახრჩობელა ილეთების ხმარება. იგი კრძალავს მეტოქისთვის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი ტკივილის მიყენებასაც კი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართული ჭიდაობა წმინდა სპორტული შეჯიბრებაა და არა სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა. მასში მრავლად არის თეატრალური ელემენტები, რომლებიც მშვენივრად გამოხატავენ ქართველი კაცის არტისტულ ბუნებას, ხოლო თვით შეჯიბრებას თეატრალიზებულ სანახაობას უახლოებენ. სპორტის ეს ეროვნული სახეობა სამი სრულფასოვანი კომპონენტისგან შედგება. ესენია: საკუთრივ ჭიდაობა, მუსიკა და ცეკვა".**

**კლასიკური ჭიდაობა.** გივი კარტოზია (მსოფლიოს სამგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი), როსტომ აბაშიძე (მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი), ავთანდილ ქორიძე (ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი), რომან რურუა (მსოფლიოს ოთხგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი), ვახტანგ ბლაგიძე (მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი), მიხეილ სალაძე (მსოფლიოს ჩემპიონი), თეიმურაზ ყაზარაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი), თემურ აფხაზავა (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი), გურამ გედეხაური (მსოფლიოს ჩემპიონი).

**ძიუდო.** შოთა ჩოჩიშვილი (ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი), თემურ ხუბულური (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი), შოთა ხაბარელი (ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი), კობა კურტანიძე (მსოფლიოს ჩემპიონი), ამირან ტოტიკაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი).

**სამბო.** გენადი გიორგაძე (მსოფლიოს ჩემპიონი), იოსებ მაღალაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი), სერგეი ტერნოვიხი (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი), ჯემალ მჭედლიშვილი (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი).

ამ მოჭიდავეთა უმრავლესობას დიდი სპორტის საგზური ქართულმა ჭიდაობამ მისცა და ამდენად მისი მადლით არიან მირონცხებულნი.

## როგორც იქნა მოგვარდა

### ახალი წესები: კვების ტალონები ფულით შეიცვალა

**რამდენიმე** ათეული წლის წინათ შემუშავებულ წესებს, როცა სპორტსმენებს, აგრეთვე სპორტული ღონისძიებებისა და შეკრებების სხვა მონაწილეებს კვების ტალონები ეძლეოდათ, ბიუროკრატიული აპარატი ვერა და ვერ ელეოდა. არადა, დრო იცვლებოდა, კვების ორგანიზაციებთან ტალონებით ანგარიშსწორებამ მახინჯი ფორმა მიიღო და მისი არსებობა ბოლოს ვაჭრობის მუშაკებს უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე სპორტის წარმომადგენლებს. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ გინდოდა თუ არ გინდოდა, ის უნდა გესვა და გეჭამა, რასაც შემოგთავაზებდნენ.

პირველად საქართველოში დაიწყო ამ სისტემის უარყოფა. შარშან, მაგალითად, ტალონების ნაცვლად ჩვენთან ბევრგან შემოიღეს ფულის გაცემა, რაც უფრო მოსახერხებელია სარეალიზაციოდ მათთვის, ვისაც ის ეძლევა.

და აი, საკავშირო სპორტსახკომმა მიიღო ბრძანება კვების ტალონების ფულით შეცვლის შესახებ, დაამტკიცა ინსტრუქცია. ახალი წესი ეხება ყველა სპორტულ ორგანიზაციას, მიუხედავად მისი უწყებრიობისა, თუმცა სადაც ეს შესაძლებელია და საქმისთვის უმჯობესია, ჯგუფური კვება (შეკვეთა—მენიუს წესით) შეიძლება უნაღდო ანგარიშსწორებითაც მოხდეს, დასაშვებია აგრეთვე (გუნდის ხელმძღვანელთა ნებართვით) კვების პროდუქტების ხელზე მიღება.

ბრძანება და ინსტრუქცია ითვალისწინებს მკაცრ ფინანსურ კონტროლს ნაღდი ფულის გაცემის აღრიცხვაზე. დამტკიცებულია შეკვეთა მენიუს და ფულის ხელზე მიღების სპეციალური საარიცხვო დოკუმენტების ნიმუში.

### ეს ბევრს აინტერესებს...

## არის თუ არა ჯავშანი?

**გუშინ** „ლელოს" რედაქციას ეწვია მშობელთა ერთი ჯგუფი, რომელმაც მოითხოვა განმარტება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, რომ საქართველოს სპორტსახკომის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლიდან იმათ, ვინც საშუალო სკოლა დაამთავრეს, ორი წლის განმავლობაში (სწავლის დასრულებამდე) არ გაიწვევენ სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

ჩვენმა გაზეთმა ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ სექტემბერში განმარტება სთხოვა სასწავლებლის ხელმძღვანელებს, რომლებმაც განაცხადეს რომ სასწავლებელს მართლაც გააჩნია სამხედრო სამსახურში გაწვევის ჯავშანი. (იხ. „ლელო", 7 სექტემბერი, 1989 წ.), სხვათა შორის, ასეთი ცნობა მახობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმაც გაიმეორეს. შემდეგ გაირკვა, რომ საკითხი საბოლოოდ არ ყოფილა გადაწყვეტილი და სასწავლებლის დირექცია იძულებული გახდა „ლელოს" ფურცლებზე კიდევ ერთხელ გამოექვეყნებინა მილების წესები (იხ. „ლელო", 10 სექტემბერი, 1989 წ), სადაც საერთოდ არაფერია ნათქვამი ზემოაღნიშნულ შეღავათზე. სამწუხაროა, რომ სასწავლებელში შემსვლელებს საქმის ნამდვილი ვითარება მისმა ხელმძღვანელობამ საბუთების მიღებისას არ განუმარტა და არც სათანადო განცხადება გამოაკრა.

### უშუს ფედერაციის შექმნის საინიციატივო ჯგუფი იუწყება

**უშუს** რესპუბლიკური ფედერაციის შექმნის საინიციატივო ჯგუფი ბოდიშს უხდის მკითხველს და იუწყება, რომ ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია ჩატარდება არა ჟურნალისტთა სახლში, როგორც ეს საინიციატივო ჯგუფმა „ლელოს" გუშინდელ ნომერში გამოაცხადა, არამედ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის 14).

ფედერაციის ჩატარების თარიღი (28 ნოემბერი), დრო (17 საათი) და დელეგატთა რეგისტრაცია (16 საათი) უცვლელი რჩება.

## „ერთი წელი სეულის შემდეგ"

### ქართველ ძიუდოისტთა შეფასება

**გაზეთ** „სოვეტსკი სპორტში" (15 ნოემბერი, № 261) დაიბეჭდა ჟურნალისტ ვ. გოლუბევის საუბარი სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელთან ვლადიმერ კაპლინთან, რომელიც რვანახევარი წლის მანძილზე სათავეში ედგა ახალგაზრდულ ნაკრებს, 1989 წლიდან კი ქვეყნის მთავარი გუნდი ჩაიბარა.

წერილის, რომლის სათაურია „ერთი წელი სეულის შემდეგ" შესავალში საუბარია საბჭოთა ძიუდოისტების მიერ 1989 წელს მოპოვებულ წარმატებებზე და სამი მთავარი ტურნირია გამოყოფილი, კერძოდ, ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც უმედლოდ ნაკრების არც ერთი წევრი არ დარჩენილა (სამი ოქრო, ორი ვერცხლი, სამი ბრინჯაო), მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საბჭოთა კავშირმა პირველად დაამარცხა ძიუდოს ფუძემდებლების იაპონიის გუნდი (მიიღო ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი) და ევროპის გუნდური ჩემპიონატი, სადაც დებიუტანტთაგან დაკომპლექტებულმა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კონტინენტის ყველა უძლიერესი კოლექტივი დაამარცხა.

ამ საუბარში ნაკრების მწვრთნელი უმაღლეს შეფასებას აძლევს საქართველოს ძიუდოისტთა გამოსვლებს:

„მაგალითისთვის გორელ კობა კურტანიძეს მოვიყვან. კობა ხუთჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი. იყო ევროპის ჩემპიონიც. 1987 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ფიასკო განიცადა, ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა სეულში, თორემ ოლიმპიადის წინ ჩატარებულ საკავშირო პირველობაში ფაქტიურად არ ჰყავდა კონკურენტი. არადა ასეთ ნიჭიერ მოჭიდავეს ერთი ნათელი გამარჯვება უსათუოდ სჭირდებოდა. საკმაოდ მძიმე ტრავმის მიუხედავად, მისი „ჩამოწერა" არ გვინდოდა, თუმცა მკურნალობა კი გაუგრძელდა. კურტანიძე ბრწყინვალედ გამოვიდა ევროპის 1989 წლის ჩემპიონატში. ეს მართლაც კონტინენტის საუკეთესო მოჭიდავე იყო ქვემძიმე წონაში. აი, ამის შემდეგ დავიწყეთ კობას ფსიქოლოგიური დამუშავება, რათა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ისეთივე ძლიერი ყოფილიყო, როგორც „ევროპაზე" იყო, და სამუდამოდ დავევიწყებინა მსოფლიოს წინა ჩემპიონატის წარუმატებლობა. წინასწარ გეტყვით, რომ კურტანიძემ მთლიანად განახორციელა თავისი გეგმები. ამ წონაში ლიდერმა სამართლიანად მოიპოვა ოქროს მედალი. იგი არ არის შემთხვევითი ჩემპიონი; კობას ჩემპიონობას ჩვენ ველოდით."

შემდეგ ნაკრების უფროსი მწვრთნელი ლაპარაკობს ამირან ტოტიკაშვილზე: „ამირან ტოტიკაშვილი, ჩემი აზრით, ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავე იყო. იგი თანამედროვე ტატამის ბრწყინვალებაა. ტოტიკაშვილი თვითმყობადი ნიჭის პატრონია და ამით არის იგი გამორჩეული: აქვს საყვარელი ილეთები, განსაკუთრებით კარგად გამოსდის გვერდული სარმა, საიმედოა დაცვაში, ქულას არ ჰკარგავს. ამირანი თამამია და გაბედული. იგი დიდი ხნით არის ჩემპიონი, იმიტომ, რომ მოჭიდავედ დაიბადა, არის მშიარული ახალგაზრდა, აქვს იუმორი, კონტაქტურია და ამის გამო მასთან ურთიერთობა იოლია. მას ბევრი რამ აქვს წინ"...

„ტოტიკაშვილი 20 წლისაა... გარდაბნელია. აქ ისწავლა ჭიდაობა და შეიყვარა ძიუდო. ზურაბ კორახაშვილმა ჩაუნერგა, რომ არ უნდა ეშინოდეს ავტორიტეტების"...

უფროსი მწვრთნელი სხვა კონტექსტშიც ახსენებს ჩვენს ფალავნებს: „მიმაჩნია, რომ გიორგი თენაძეს მეტის მიღწევა შეეძლო. აი, ქუთაისელი აკაკი კიბორძალიძის ვერცხლის მედალი კი კანონზომიერია. იგი ფინალში მსოფლიო ჩემპიონთან, იაპონელ ნაოია ოგავასთან დამარცხდა, თუმცა მანამდე საკმაოდ კარგ მომზადებას, მაღალ კლასს ავლენდა. ამასთან, მოუგო ინგლისელ ელვარდ გორდონს, რომელსაც ჩვენი ბიჭებისთვის არაერთხელ გაუფუჭებია გუნება"... „ტოტიკაშვილი უბრალოდ რომ ვთქვათ, ბრწყინავდა, ისევე, როგორც კობა კურტანიძე"...

# კონტრილეთები ცენტრიდან

პოზიცია

### ანუ იმის შესახებ, თუ როგორ შეთხზეს ძიუდოს საკავშირო ფედერაციის წესდება ხელისუფლების ცენტრალიზაციის პრინციპით

**ფიზკულტურულ-სპორტულ** მოძრაობაში გარდაქმნის საქმეს ცენტრის წყალობით რაღაც ძალები წინ კი არ ეწევიან, არამედ პირიქით, უკან ექაჩებიან და არაერთი შემთხვევა ყოფილა იმისა, რომ ბევრი საკითხი ჩიხში მოქცეულა. თუნდაც სულ ბოლოდროინდელი მაგალითი — საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოსა და საფეხბურთო კავშირის ურთიერთობა ავიღოთ.

რა სურს ცენტრს გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში? ცენტრი ანუ ამ შემთხვევაში ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების მესაჭეები გარდაქმნის თავგამოდებული ქომაგები არიანო, ვერ ვიტყვით, თუმცა გარდაქმნა მათ თავისებურად ესმით და ამას ქვემოთ ცხადად დავინახავთ. საჯაროობა? ისინი არც ამის წინააღმდეგნი არიან, ოღონდ აქაც თავისებური ხელწერით მოქმედებენ და საჯაროობა იმისთვის სურთ, საკუთარი აზრი როგორმე თავს მოახვიონ სხვას, როგორმე არ დათმონ, ასე ვთქვათ, სრული ხელისუფლება, ერთი სიტყვით, კურსი აღებულია ცენტრის დიქტატისკენ.

მკვახედაა ნათქვამი? სრულებითაც არა. ზემოთქმული ასე შეიძლება შევაჯამოთ: ცხოვრების ყველა სფეროში ხელისუფლებისა და მართვის დეცენტრალიზაციის პირობებში საკავშირო ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები ახლა იწყებენ ცენტრალიზაციასა და დიქტატს. დღეს ერთ კონკრეტულ ფაქტზე, კერძოდ, საკავშირო სპორტსახკომის სპორტის გამოყენებითი სახეობების სამმართველოს მიერ შემუშავებულ ძიუდოს საკავშირო ფედერაციის წესდების პროექტზე გვექნება საუბარი.

თავიდანვე ცხადი ხდება: თუ ამ დოკუმენტს ადგენს და რესპუბლიკებში განსახილველად გზავნის საკავშირო სპორტსახკომი, ფედერაცია მომავალში მთლიანად სპორტსახკომზე იქნება დამოკიდებული და მისი საქმიანობის საფუძველში სწორედ ის შინაარსი იქნება ჩადებული, რაც ხელს აძლევს მეთაურ სპორტსახკომს. ასეც არის და სწორედ ეს გახლავთ მთავარი. კითხულობთ წესდების პროექტს და დასაწყისშივე იქცევს ყურადღებას არა შეფარვით და ორაზროვნად, არამედ პირდაპირ, მბძანებლური ტონით ნათქვამი. აი, ეს აბზაცი: „მხოლოდ სსრ კავშირის ძიუდოს ფედერაცია წარმოადგენს საბჭოთა სპორტის ინტერესებს ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციებში, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში". გამოდის, რომ ცენტრი არაფრად აგდებს რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს, ყველას მაგივრად საქმეების „მოგვარებას" ის კისრულობს. უნებლიედ იბადება კითხვა: მაშ, როგორღა გავიგოთ საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარის რუსაკისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატ სისოევის განმარტება, რომ სსრ კავშირი ერთიანი ნაკრები გუნდით გამოვა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში (ჩვენ არც ამ პოზიციას ვეთანხმებით), სხვა დანარჩენ შეჯიბრებებში კი მოკავშირე რესპუბლიკებს დამოუკიდებლად გამოსვლისა და საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის დამყარების უფლება აქვთ? უბრალოდ, სირცხვილია თავგზააბნევისა და „წყლის ამღვრევის" ასეთი მეთოდებით მუშაობა.

მივყვეთ წესდების პროექტს: „ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო და რესპუბლიკურ საბჭოებს, უწყებებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ სსრ კავშირის ძიუდოს ფედერაციაში და არ შეუძლიათ შექმნან ძიუდოს თავიანთი უწყებრივი ფედერაცია". აი, ასე, „არ შეუძლიათ", მორჩა და გათავდა. შედეგს თუ გავიაზრებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ გვეუბნებიან: თქვენ თავს ნუ შეიწუხებთ, ყველაფერს ჩვენ მივხედავთ, თქვენ ის გააკეთეთ, რასაც გიბრძანებთ და მიგითითებთ. სპორტული მოძრაობა ცოცხალი ორგანიზმივითაა, ცენტრს კი სურს რობოტად, უსულგულო მექანიზმად აქციოს იგი. ახლა ისიც ვიკითხოთ, ვინ დაზარალდება ამით ყველაზე მეტად? ცხადია, ჩვენ, რადგან ძიუდოში ქართველ ფალავნებს წამყვანი პოზიციები უჭირავთ მთელს კავშირში (და არა მარტო კავშირში). საქართველო სპორტში სუვერენული უფლებების მოპოვებისთვის იბრძვის.. ცენტრში კი აი, როგორი კონტრილეთია მოფიქრებული ამ უფლებების ძირშივე მოსაცელად.

შემდეგი აბზაცი პროექტიდან: „სსრ კავშირის ძიუდოს ფედერაცია სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში წარმოდგენილია, როგორც კოლექტიური წევრი, ჰყავს იქ წარმომადგენლები და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მისი გადაწყვეტილებებით".

ციტირებული სამივე აბზაცი ერთმანეთის მიყოლებითაა პროექტში და საფუძველს უმაგრებს ჯერ ერთმანეთს, მთლიანობაში კი — საკავშირო ფედერაციას, მაგრამ ასევე მთლიანობაში წარმოუდგენლად ზღუდავს რესპუბლიკის უფლებებს. ასეთია ძიუდოში გარდაქმნისა და დეცენტრალიზაციის ცენტრისეული ვარიანტი. ყბადაღებულ „უძრაობის პერიოდშიც" კი არავის მოსვლია აზრად, რესპუბლიკებში სპორტული მოძრაობის ასეთი შეზღუდვები დაეწესებინა.

წვრილმან საკითხებზე აღარ შევჩერდებით.

საკავშირო ფედერაციას სხვა მხრივაც შესანიშნავი მადა აქვს. ფედერაცია ფინანსურ-სამეურნეო ორგანიზაციად ყალიბდება. შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იგეგმება შეჯიბრებები და სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებები. განა ვინმეს ეეჭვება, რომ აქ ყველაზე მეტად საქართველოს სპორტსმენების იმედი აქვთ? რესპუბლიკებისთვის უკუგებაზე წესდებაში სიტყვაც არ არის დაძრული.

წესდების პროექტის რესპუბლიკებში დაგზავნა და ვითომდა აზრის გაზიარება წმინდა წყლის ფორმალობად მიგვაჩნია, რადგან, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყოველთვის გამოჩნდებიან აქტიური მხარდამჭერნი და სწორედ ისინი, ვის ინტერესებსაც მტკივნეულად ეხება შეზღუდვები, უმცირესობაში აღმოჩნდებიან. რაში აინტერესებთ ქართველ ძიუდოისტთა ბედი იმათ (რესპუბლიკებს ვგულისხმობთ), ვისაც ერთი ხეირიანი სპორტსმენიც არ აღუზრდია? სამაგიეროდ ისინი ცენტრის საიმედო დასაყრდენი ხდებიან გადაწყვეტილებების მიღებისას. ეს სერიოზული საკითხია და ჩვენ ცენტრის ამგვარ წინადადებას სრულიად გამოკვეთილი და არაორაზროვანი პოზიცია უნდა დავუპირისპიროთ.

გვინდა დავამთავროთ იმით, რითაც იწყება წესდების ტექსტი: „სსრ კავშირის ძიუდოს ფედერაცია წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც ნებაყოფლობით საფუძველზე აერთიანებს სსრ კავშირის მოქალაქეებს, სპორტულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სამეცნიერო მუშაკებს, ჟურნალისტებს". და... „ფედერაციის საქმიანობა იგება თვითმმართველობის პრინციპზე, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ფედერაციების... დამოუკიდებლობისა და ინიციატივის ფართოდ განვითარებით". ხედავთ, სადამდე მიდის თვითნებობა? წესდების თავში დამოუკიდებლობასაც ახსენებენ, მთელი მისი შინაარსი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

ბიუროკრატიულმა აპარატმა იცის, რას აკეთებს...

**თენგიზ ბაჩეჩილაძე.**

**მინაწერი:** გუშინ ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს სპორტსახკომს. იქ გვითხრეს, რომ წესდების პროექტზე გაეგზავნა დასაბუთებული უარყოფითი პასუხი.

---

აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისათვის

# აკაკის წერილი

**ძველად** საქართველოში ბურთაობა იყო შემოღებული. დიდი და პატარა, მოცლის დროს, გატაცებული იყო მითი. კრება ორ დასად, ორ მხარედ, იყოფოდა: ორივეს თავ-თავისი ლელო ჰქონდა დანიშნული, მარჯვნივ და მარცხნივ, და დანიშნულებაც უპირველესი ის იყო, რომ ბურთი იმ დანიშნულ ლელომდი მიეტანა. ორივე მხარე სცდილობდა, რომ გაემარჯვნა და ამ უბრალო თავმოყვარეობის გამო ერთმანეთს აღარ სზოგავდნენ: სწიწკნიდნენ და გლეჯდნენ. მამა შვილს აღარ ზოგავდა, შვილი მამას და ძმა-ძმას. უფრო ცუდი იყო კრივი (ყეენობა): ისე გამწვავდებოდა ხოლმე ხან და ხან, რომ ხელ-კეტებით დაერეოდნენ ერთმანეთს და ქვებს გაჰქონდათ ზუზუნი. მაშინ აღარავის ახსოვდა აღარაფერი სიმართლე; გარდა „არჩევან-არადანისა" და ნათესაობა, მეგობრობა და ყოველგვარი დამოკიდებულება, საზოგადო რაც იყო, ბრძოლის გათავებამდე მივიწყებული იყო.

ეს სენი ჩამომავლობით ძვალსა და რბილში ჰქონდა ქართველს გამჯდარი და რაღაკი კრივიც და ბურთაობა დღეს გადავარდნილა, სამაგიეროდ კენჭაობას მიეგება ქართველობა! ეს სენი იმ, ზემოხსენებულ ორივე სენზე უარესია: ის სხეულს მაინც ავარჯიშებდა და ერთმანეთის წინააღმდეგობა, თამაშობის გათავებისთანავე თავდებოდა და ეს კი, კენჭობაა, ჰრყვნის საზოგადოების სულს და გულს და სთესავს საშვილიშვილო მტრობას.

**გამოქვეყნდა** 1913 წელს გაზეთში „თემი" (18 თებერვალი).
შესულია პოეტის თხზულებათა სრულ კრებულში (ტ. XIV, თბ., 1961 წ.).

**მოგვაწოდა სულიკო ნუცუბიძემ.**





# ამაოდ ელოდნენ

**გორის** ოკინიგზის სადგურზე, რა თქმა უნდა, მუდამ ხალხმრავლობაა, მაგრამ იმ დღეს აქ სულ სხვაგვარი გამოცოცხლება სუფევდა. აქ თავი მოიყარა 70-ზე მეტმა ზურგჩანთამოკიდებულმა ახალგაზრდამ. ესენი იყვნენ საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის, თბილისის უნივერსიტეტის, თბილისის თეატრალური, ქუთაისის პოლიტექნიკური, გორის ეკონომიკური, ბათუმისა და თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები. ისინი ამაოდ ელოდნენ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებს. რაკი აქ, შეკრების ადგილზე, სხვები აღარ გამოჩნდნენ, სტუდენტები გორის რაიონის მდინარე ტანას ხეობისკენ დაიძრნენ, სადაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ტურისტთა პირველ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში უნდა გამოსულიყვნენ.

ადგილზე მისულთ ასპარეზი მოწყობილ-გაფორმებული დახვდათ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის გორის ტურისტულ კლუბ „ტონთიომს" (დირექტორი მ. ცერცვაძე). „ტონთიომომ" სტუდენტებს დიდი დახმარება გაუწია შეჯიბრების ჩატარებაშიც.

სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტურისტულ მრავალჭიდში, სპორტულ ორიენტირებაში, გარემოს ტოპოგრაფიულ აგეგმვაში... ყველას აჯობა გორის ეკონომიკური ინსტიტუტის გუნდმა. მეორე იყო თბილისის უნივერსიტეტის, ხოლო მესამე — საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის გუნდი.

**სურათზე:** ტურისტთა ასპარეზობის ფრაგმენტი.

**ალექსანდრე ხითარიძის ფოტო.**

---

# ფინალში—ოქროს ქულით

**მოსწავლეთა** არდადეგები 58-ე საშუალო სკოლის კალათბურთელებმა სხვადასხვა საკავშირო ტურნირში ასპარეზობით აღნიშნეს.

მოსკოვში მოეწყო მინი-კალათბურთელთა ფესტივალი, რომელშიც გამოდიოდნენ 1977-1978 წლებში დაბადებული ბიჭუნები და გოგონები. ბიჭებმა (მწვრთნელი ა. აბრამიძე) დაამარცხეს უნგრეთის, იუჟნო-სახალინსკის, ესტონეთის ნორჩი კალათბურთელები, ნახევარფინალური მატჩი მოუგეს ლატვიის გუნდს, მაგრამ ფინალში ლიტვის კოლექტივთან დამარცხდნენ და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. გოგონებს (მწვრთნელი ნ. ჭეიშვილი და გ. სამხარაძე) ტურნირში კი მეოთხე ადგილი ხვდათ წილად.

1979-1980 წლებში დაბადებულ ბიჭებს შორის (მწვრთნელი, სკოლის აღზრდილი ალეკო ქილიტაური) ჩვენმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

როგორც ცნობილია, გაისად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა ტარდება. ამ შეჯიბრებისათვის სამზადისს ჩვენი გუნდები აქედანვე შეუდგნენ. ბიჭები (1974-1975 წლებში დაბადებულნი) ლატვიის ქალაქ იელგავაში გამოდიოდნენ. აქ ჩატარდა ზონალური ტურნირი, რომელშიც კარგად იასპარეზა „მართვემ" (მწვრთნელები თ. ოქრუაშვილი და გ. ქილიტაური). მან ყველა შეხვედრა მოიგო (უზბეკეთთან, უკრაინასთან, ესტონეთთან, ყირგიზეთთან და ლატვიასთან) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ოქროს ქულით. მეორე ადგილი და მეორე საგზური ამ ზონიდან ლატვიის კალათბურთელებს ერგოთ. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების შემდეგ „მართვეს" ორი კალათბურთელი საკავშირო ნაკრების კანდიდატთა სიაში ჩარიცხეს.

ამ ასაკის გოგონებს ზონალური შეჯიბრება ვილნიუსში ჰქონდათ. საქართველოს კალათბურთელებმა დათმეს ორი შეხვედრა (უკრაინასთან და ბელორუსიასთან) და ფინალის მიღმა აღმოჩნდნენ, მაგრამ ქართველ გოგონათა თამაშმა სპეციალისტებზე, როგორც ჩანს, კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ვინაიდან სამი მათგანი საკავშირო ნაკრების კანდიდატთა სიაში ჩაირიცხა.

• • •



**სურათზე:** ზონალურ ტურნირში გამარჯვებული „მართვეს" კალათბურთელთა გუნდი.

**ალექსანდრე კოტრიკაშვილის ფოტო.**

---

პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

# „ტირს მოედანი ხომ არ შეეწირება"

გაზეთ „ლელოს" 18 მარტის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „ტირს მოედანი ხომ არ შეეწირება". დამატებით გაცნობებთ, რომ დღეისათვის თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ეზოში ტირის მშენებლობა დამთავრებულია და აღდგენილია სკოლის სპორტული კომპლექსი.

**დ. ჯაფარიძე,**
თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ანატოლი ნორაკიძე:

# „ისევ ერთი ნაბიჯი რჩება..."

**წლევანდელმა** საფეხბურთო სეზონმა ჩვენს გულშემატკივრებს სიამოვნებასთან ერთად სიხარულიც მოუტანა — ლანჩხუთის „გურიამ" და სოხუმის „დინამომ" დიდად გაგვახარეს: ერთი, როგორც იცით, უმაღლეს ლიგაში გადავიდა, მეორე —ახალ სეზონში პირველ ლიგაში იასპარეზებს.

დღეს სწორედ პირველი ლიგის ახალბედაზე სოხუმის „დინამოზე" გვექნება საუბარი. უფრო ზუსტად კი გთავაზობთ ინტერვიუს მის მთავარ მწვრთნელთან — სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ, სპორტის ოსტატ **ანატოლი ნორაკიძესთან.**

● **ფეხბურთის მოყვარულთ თქვენი საგანგებო წარდგენა არ სჭირდება — იშვიათად მოიძებნება ჩვენში ვინმე, რომ არ იცნობდეს ნორაკიძე — ფეხბურთელს თუ ნორაკიძე — მწვრთნელს. ამიტომ პირდაპირ სოხუმის „დინამოთი" დავიწყოთ, გავიხსენოთ ამ წარმატებითი სეზონის პერიპეტიები...**

— მეორე ლიგის მეცხრე ზონაში ორმოცდაორი მატჩი ჩავატარეთ და, როგორც იცით, დამაჯერებლად გავიმარჯვეთ. მეორე ადგილზე გასულ ფოთის „კოლხეთს" შვიდი ქულით გავუსწარით. მერე კიდევ ოთხი შეხვედრის გამართვა მოგვიწია ეგრეთ წოდებულ სამთა მინიტურნირში პავლოდარის „ტრაქტორთან" და ფერღანის „ნეფტიანიკთან". პირველი მატჩი გვქონდა პავლოდარში. გავიმარჯვეთ 1:0 და, რაც მთავარია, ბიჭებმა იმ დღეს იწამეს, რომ პირველი ლიგის საგზურს დაეუფლებოდნენ. სხვათა შორის, ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო მთელს სეზონში. იმასაც გეტყვით, რომ პავლოდარელთა გუნდი ვნახე ფრუნზეს „ალგასთან" მატჩში. თამაში ვიდეოფირზე გადავიღეთ და საშუალება მოგვეცა მოთამაშეებთან ერთად გაგვერჩია იგი. მომდევნო შეხვედრა ფერღანაში, როგორც იცით, წავაგეთ 0:1. ეს მეტად დასანანი ბურთი გავიდა მეექვსე წუთზე მეკარისა და მცველის შეუთანხმებელი მოქმედების გამო. ამას ისიც დაემატა, რომ ამ დღეს თერთმეტმეტრიანიც ვერ გამოვიყენეთ. ფერღანელებმა საკუთარ მოედანზე პავლოდარელებსაც სძლიეს ასეთივე ანგარიშით, ხოლო მერე წააგეს 0:3. აი, სოხუმში კი ერთნაირი ანგარიშით 2:0 მოვუგეთ პავლოდარსაც და ფერღანასაც. უნდა გენახათ ჩვენი ბიჭებისა და გულშემატკივართა სიხარული. ახლა ხომ ქუთაისის „ტორპედოსთან" და ბათუმის „დინამოსთან" ერთად ვიასპარეზებთ პირველ ლიგაში.

● **გუნდმა გამოვლილ გათამაშებაში 92 ბურთი გაიტანა. ეტყობა, მართლაც ძლიერი თავდასხმის ხაზი გყავთ?**

— მე ვიტყოდი, ეს უფრო შუა ხაზის დამსახურებაა. საქმე ისაა, რომ ჩვენი გუნდი ხუთი ნახევარმცველით გამოდის, თავდასხმაში კი ორი მოთამაშე გვყავს — გიორგი ჩალიგავა და რომან ხაკბა, თბილისის „დინამოში" რომ გამოდიოდა. ცხადია, იერიშის დროს ნახევარმცველები აქტიურად უტევენ მეტოქის პოზიციებს და გატანილი ბურთების უმეტესობა სწორედ მათ წილზე მოდის. ოდნავ უკანაა დახეული გუნდის დისპეტჩერი რობერტ ბოსტანჯიანი, მოედნის ცენტრში მოქმედებს გოჩა გოგრიჭიანი (ყველაზე მეტი — 25 გოლი გაიტანა, ისიც ყოფილი თბილისის დინამოელია) და გუნდის კაპიტანი დაურ ახვლედიანი. ნახევარდაცვის ფლანგებზე თამაშობენ გელა ინალიშვილი და სოსო მალანია (ცხადია, ესეც გახსოვთ თბილისის „დინამოდან"), დაცვაში გამოდიან ანდრეი ჩეკუნოვი, გიორგი დოჩია (ესეც ყოფილი თბილისის დინამოელია) და ზურაბ ფარულავა (თავისუფალი ცენტრალური მცველის ამპლუაში). მოვიხსენიებ მეკარეებსაც: გურგენ ბენიძესა და გიორგი ქორქოლიანს. თითოეულმა მათგანმა მატჩების თანაბარი რაოდენობა — ორმოცდაათი პროცენტი ჩატარა. მათ გარდა, გუნდში გამოდიან მცველები საით თარბა (ერთ დროს აგრეთვე თბილისის „დინამოში" თამაშობდა), გიორგი ჩიხრაძე, გენადი ბონდარუკი, როდერ თარბა, ნახევარმცველი ჯემალ გუბაზი, თავდამსხმელები სერგეი არუთინიანი და თენგიზ პაპასკირი.

● **ცხრამეტივე ფეხბურთელი დავასახელეთ. ალბათ, ხელმძღვანელებიც უნდა მოვიხსენიოთ...**

— მითუფრო, რომ ყოველივე მათგანმა დიდი, ძალიან დიდი ამაგი დასდო ჩვენს გამარჯვებას. ეს არის მეორე მწვრთნელი ირაკლი ქოიავა, რომელიც თორმეტი წელია



ანატოლი ნორაკიძე.

მუშაობს კოლექტივთან, ამასთან დიდი მონდომებითა და ნაყოფიერებით. ჩვენი გუნდის უფროსია ყველასთვის კარგად ცნობილი იური გრამატიკოპულო — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. იგი მრავალი წელია სოხუმის „დინამოშია" და პირადად ჩემთვის მისი დახმარება განუზომელია. სიყვარულით, ერთგულად ემსახურებიან თავიანთ საქმეს ექიმი-მასაჟისტი იური ხაბურზანია და ადმინისტრატორი აკაკი პაპავა. განსაკუთრებული მადლობის გრძნობით მინდა აღვნიშნო სოხუმის „დინამოს" კლუბის პრეზიდენტი ვლადიმერ მიქამბა. არ არსებობს საკითხი, მან რომ არ მოგვიგვაროს, ფეხბურთელები მას „გუნდის მეორე მწვრთნელს" ეძახიან. სულ ათიოდე დღე დავისვენეთ და 20 ნოემბრიდან ისევ განვაგრძეთ ვარჯიში. ბატონი ვლადიმერი ახლა, რომ იტყვიან, ათმაგი ენერგიით შეუდგა საქმეს: 1 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში მივემგზავრებით, ორ-ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩავატარებთ იქ, 15 დეკემბრიდან 6 იანვრამდე არდადეგებზე ვიქნებით, მერე ახალი სეზონისთვის დავიწყებთ უშუალო მზადებას. დიდი მუშაობა გვმართებს, რათა გულშემატკივრები არ გავაწბილოთ.

● **გულახდილად: გჯეროდათ თუ არა ამ წარმატებისა?**

— როდესაც, 1987 წლის მარტში, გუნდში მოსვლისას, სამწლიანი გეგმა-ამოცანა შევადგინეთ, პირდაპირ ვუთხარი ბიჭებს: „მესამე სეზონში მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ — პირველ ლიგაში გადავიდეთ!" მოხარული ვარ, რომ შევასრულეთ დასახული.

● **როდესაც გუნდი ზემო ლიგაში გადადის, მის შემადგენლობას, როგორც წესი, აძლიერებენ მოწვეული ფეხბურთელებით. ალბათ, თქვენც არ აგცდებათ ეს ოპერაცია?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ შემადგენლობას, რომელმაც ეს სასიხარულო გამარჯვება მოგვიტანა, მთლიანად შევინარჩუნებთ. „გზადაგზა" კი, ალბათ, რამდენიმე „გარეშე" ფეხბურთელს მაინც მოვიწვევთ კოლექტივში. ცხადია, რეზერვზეც უნდა ვიფიქროთ. ამ მხრივ კი დიდი იმედი გვაქვს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ჩვენი რეგიონის გუნდების — გაგრის, ოჩამჩირეს, გალის...

● **ენის კი არა და... კალმის წვერს მართლაც „მოადგა" სოხუმის „დინამოში" აღზრდილი იმ დიდებული ფეხბურთელების სახელები, სხვადასხვა დროს თბილისის „დინამოსა" და სხვა ცნობილი გუნდების ღირსებას რომ იცავდნენ წარმატებით: ავთანდილ ღოღობერიძე და ვლადიმერ მარღანია, ნიკიტა სიმონიანი და ნიაზი ძიაპშიპა, ამირან ტყებუჩავა და იური ვარდიმიადი, ვლადიმერ ბარქაია და გიორგი სიჭინავა, გოჩა გავაშელი და იური კურტანიძე, ბორის ხახაია და გენადი ბონდარენკო, იური გრამატიკოპულო და ხარქის ოვივიანი, ვიტალი დარასელია, ანატოლი ნორაკიძე... — დღეს თბილისის „დინამოში" თამაშობენ მხოლოდ გუდაუთელი ახრიკ ცვეიბა და გალელი თემურ ქეცბაია, ბევრჯერ გვიფიქრია ამის თაობაზე. აი თქვენ რა მიგაჩნიათ იმ სავალალო ფაქტად, რომ სოხუმის „დინამო", რომელსაც დღეს უდგეხართ სათავეში, უკანასკნელ წლებში აღარ იძლევა „პირველხარისხოვან პროდუქციას".**

— ჩემი ღრმა რწმენით, აქ მრავალი ხელშემშლელი მიზეზია: ყველგან გაუქმდა „ველური" მინდვრები, სადაც იზრდებოდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები, აი ამ იმპროვიზირებული „სტადიონების" სანაცვლოდ კი თითქმის არაფერი გაკეთებულა. თუ ერთი-ორი სტადიონი მაინც ააშენეს, მას არც მინდორი აქვს წესიერი, არც შხაპები მუშაობს, არც ინვენტარი აქვთ სათანადო და არც ფორმაა საკადრისი. უწინ ყველა ფეხბურთს ეტანებოდა, ახლა სპორტის ბევრი სახეობა გაჩნდა. სოხუმში მაგალითად, ყველას უნდა „სანეევი გამოვიდეს". საერთოდ, კი მშობლებს პრაქტიკულად აღარ მოჰყავთ ბავშვები ფეხბურთზე. არა სცალიათო — თავს იმართლებენ — აბა, უცხო ენასა და მუსიკას რა ვუყოთო? მაგრამ მთავარი მაინც სიყვარული და გატაცებაა. დღევანდელ ბავშვს უფრო ხიბლავს ბრეიქდანსი და ვიდეოკასეტები, პოლ მაკარტნი და მაიკლ ჯექსონი, ვიდრე ოდესღაც „მის უდიდებულესობად" წოდებული ფეხბურთი.

● **გაისად 60 წელი გისრულდებათ, ხომ არ ფიქრობთ მწვრთნელის კარიერის დამთავრებაზე?**

როგორც ფეხბურთელსა და როგორც მწვრთნელს ბევრი წყენა შემხვედრია ცხოვრებაში. ცხადია, სიხარულიც ბევრი განმიცდია, როგორც დღევანდელი გამარჯვებით გამოწვეული. მართლაც მთელი არსით მიყვარს ფეხბურთი. მუდამ ვთვლი, რომ სულ ვალში ვარ მასთან, გულშემატკივრებთან, ჩემს თანამემამულეებთან. ფეხბურთისთვის თავის დანებება ძალიან გამიძნელდება, თვითონ ამას, ალბათ, ვერც შევძლებ. სანამ ძალა შემწევს და ფეხბურთს ვჭირდები, ვერ ვუღალატებ მას.

● **ძლიერი მეტოქეობა გელით პირველ ლიგაში — „ზენიტი", „ლოკომოტივი", „ქაირათი", „ნეფთჩი", „შინიკი", „ფაკელი"... თქვენი ხასიათი რომ ვიცით, ეგებ უმაღლეს ლიგაზეც ფიქრობთ?**

— არ მინდა ნაჩქარევად გიპასუხოთ. ამიტომ გეტყვით, რომ მომავალ სეზონში ვფიქრობთ საკადრისი ადგილი მოვიპოვოთ ასეთი სერიოზული მეტოქეების გარემოცვაში. მარტო ადგილის შენარჩუნება პირველ ლიგაში, ვფიქრობ, დიდი არაფერი საქმეა. აი, ორსამ წელიწადში კი უკვე შეიძლება უმაღლესი ლიგის საგზურისათვისაც ვიბრძოლოთ. ბოლოსდაბოლოს, ერთი გულშემატკივარი პოეტისა არ იყოს, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" ფურცლებიდან რომ მოჰგვილოცა გამარჯვება სოხუმის დინამოელებს, „პირველი ლიგიდან უმაღლეს ლიგამდე ხომ ერთი ნაბიჯია..."

**ესაუბრა ოთარ ნოზაძე.**



მოგმართავთ წინადადებით...

## გვჭირდება საქართველოს ნაკრები ფეხბურთში!

**მინდა** საქართველოს საზოგადოებრიობას შევთავაზო იდეა, რომლის წინააღმდეგიც ალბათ არავინ იქნება. ჩემი აზრით, დროა აღვადგინოთ საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში! აბა, გავიხსენოთ: 1919 წლის 26 მაისს ვაკეში, დამოუკიდებლობის წლისთავის ზეიმის დროს, ცენტრალური სპორტული სანახაობა ქართველებისა და ინგლისელების „ბურთაობა" ყოფილა.

1937 (ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი!!) წელს თბილისში ერთმანეთს ოფიციალურად შეხვდნენ ბასკეთისა და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდები. ეს შეხვედრა აღნიშნულია ფიფა-ს სათანადო საბუთებში.

ხომ არ დადგა დრო, თავი დავანებოთ ჩვენი კონსტიტუციური უფლებების უგულებელყოფას? ვინ გვიშლის ნაკრების შექმნას? თუნდაც წინანდელი სტატუსით?

ქართული ფეხბურთის მტრების „არგუმენტები" რომ საქართველო ფიფა-ს წევრი არ არისო, საბუთად არ გამოდგება — ბასკეთთან თამაშის დროს ამ გარემოებამ ხელი ხომ ვერ შეგვიშალა.

ჩემი წინადადება ასეთია: 1990 წლის 26 მაისს თბილისში შედგეს საქართველოს და რომელიმე ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩი. (სასურველია ჩვენი მეტოქე ინგლისის ან ბასკეთის გუნდი იყოს). ეს შეხვედრა შესანიშნავი გვირგვინი იქნება ჩვენი ეროვნული დღესასწაულისა.

ამგვარი მატჩის მოწყობას ოფიციალურად ვერავინ დაგვიშლის. რაც შეეხება უცხოელებს, აღვნიშნავ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ სპარინგ-პარტნიორი ყველასთვის სანთლით საძებარი გახლავთ.

ამ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ექნება:

პირველი — მსოფლიო (და არა მარტო სპორტული) გაიცნობს საქართველოს ნაკრებს. უნდა ვეცადოთ, შეხვედრის ტელერეპორტაჟი იხილონ თუნდაც მეტოქე ქვეყნის გულშემატკივრებმა. რაც უფრო ტიტულოვანი მოწინააღმდეგე გვეყოლება, მით უკეთესი! მეორე — ბევრ ვინმეს მოეხსნება საფეხბურთო არასრულფასოვნების კომპლექსი (ღრმად ვარ დარწმუნებული ჩვენების შედეგი და თამაშის ხარისხი ცუდი არ იქნება). მესამე — შეხვედრა ხელს შეუწყობს ჩვენი სპორტული სუვერენიტეტის მოახლოებას. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროისთვის საქართველოს უკვე ეყოლება ეროვნული გუნდი რაგბიში.

სასურველია ნაკრები სარბიელზე გამოვიდეს საგანგებოდ შერჩეული, ორიგინალური ფორმით, ხოლო გულშემატკივრებს ხელთ ეპყრათ ჩვენი ეროვნული დროშები (დღესვე დავიწყოთ ამისთვის მზადება) — გავიხსენოთ არგენტინა!

26 მაისის მატჩები ტრადიციად უნდა იქცეს.

შეხვედრის შემოსავალი მთლიანად უნდა მოხმარდეს ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის საქმეს.

აი, ასეთია ჩემი წინადადება. ეჭვგარეშეა, უამრავი თანამემამულე დამეთანხმება. ღრმად ვარ დარწმუნებული, ის დრო, როდესაც მთელი მსოფლიო გაიგონებს ჩვენს შეძახილს: „ლელო, ლელო, საქართველო!" არც ისე შორსაა!

**ალექსანდრე ჟღენტი,**
**კინორეჟისორი.**



## სსრ კავშირის თასზე

**წლევანდელი** საფეხბურთო სეზონის მიწურულს გრძელდება სსრ კავშირის 1990 წლის თასის გათამაშების მერვედფინალური შეხვედრები. ხშირ შემთხვევაში თამაშები მიმდინარეობს მოყინულ, ფეხბურთისთვის სრულიად გამოუსადეგარ მინდვრებზე ან დახურულ დარბაზებში.

სადღეისოდ გამოვლინდა მეოთხედფინალის მონაწილე 5 გუნდი: „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „დინამო" (მინსკი), „მეტალისტი" (ხარკოვი), ცსკა, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი).

მოსკოვის „ტორპედოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" წყვილში გამარჯვებულის საკითხი უნდა გაარკვეს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტ-ტექნიკური კომისიის უახლოეს სხდომაზე. ოდესელებმა პირველი შეხვედრა თავიანთ მინდორზე მოიგეს ანგარიშით 1:0, ხოლო საპასუხო მატჩზე მოსკოვში არ გამოცხადდნენ.

მერვედფინალის მატჩები ერევნის „არარატსა" და მოსკოვის „დინამოს", აგრეთვე, თბილისის „დინამოსა" და კიევის „დინამოს" შორის გაიმართება 1990 წლის გაზაფხულზე.

## ვეტერანები — სამტრედიაში

**საინტერესო** მატჩი ჩატარდა სამტრედიაში. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" საბჭოთა კავშირის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრებს უმასპინძლა. ვეტერანთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ ალბერტ შესტერნიოვი, გიორგი იარცევი, ვლადიმერ პოლიკარპოვი, სერგეი შეცოვი და სხვანი.

დაძაბული ორთაბრძოლა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 5:3.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**

### რაიონის პირველობაზე

ჩხოროწყუში ორ თვეს მიმდინარეობდა რაიონული პირველობა ფეხბურთში. ასპარეზობაში, რომელიც საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა, პირველი ადგილი 29 ქულით სოფელ ქვედაჩხოროწყუს ფეხბურთელთა გუნდმა დაიკავა, მეორე ადგილი 26 ქულით სოფელ ზუმის საქართველოს სახელობის კოლმეურნეობის გუნდს ხვდა წილად, მესამე საპრიზო ადგილზე 24 ქულით სოფელ ახუთის გუნდი გავიდა.

გამარჯვებული გუნდები რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის შესაბამისი ხარისხების დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

**სოსო ჯალაღონია.**

## 24 გუნდი მთელი მსოფლიოდან

**დამთავრდა** 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, გამოვლინდა ფინალური ეტაპის ყველა მონაწილე, რომელთაგან ორი ადგილი წინასწარვე იყო დაჯავშნული მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლისა (იტალია) და 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონისთვის (არგენტინა). სულ შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობდა 112 ქვეყნის ნაკრები გუნდი.

მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის გაისად იტალიის სტადიონებზე გამოვლენ შემდეგი გუნდები:

**ევროპა** (14 გუნდი) — იტალია, სსრ კავშირი, იუგოსლავია, ინგლისი, ესპანეთი, შვეცია, ბელგია, რუმინეთი, ირლანდია, ავსტრია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰოლანდია, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია.

**სამხრეთ ამერიკა** (4 გუნდი): არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, კოლუმბია.

**აზია** (2 გუნდი) — სამხრეთ კორეა, არაბეთის გაერთიანებული ემირატები.

**ცენტრალური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი** (2 გუნდი) — კოსტა-რიკა, ამერიკის შეერთებული შტატები.

**აფრიკა** (2 გუნდი) — ეგვიპტე, კამერუნი.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჯგუფების წილისყრა 9 დეკემბერს შედგება რომში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

**ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲨᲘ** დაიწყო მოჭადრაკე ქალთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატი. როგორც ვიუწყებოდით, შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღო ორ თბილისელ მოჭადრაკეს — დიდოსტატ ნინო გურიელსა და საერთაშორისო ოსტატ ქეთევან კახიანს, მაგრამ ბოლო წუთს გურიელმა უარი თქვა მონაწილეობაზე და მის ნაცვლად სათამაშოდ დაუშვეს უკრაინის ჩემპიონი მ. ნეპეინა.

წილისყრის მიხედვით მონაწილენი ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: 1. ს. პრუდნიკოვა (ბალაკოვო, საერთაშორისო ოსტატი), 2. ე. ხარკოვა (მოსკოვი, ოსტატი), 3. ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი, საერთაშორისო დიდოსტატი), 4. ი. დიომინა (ნოვოსიბირსკი, ს. ო.), 5. რ. დომკუტე (შიაულიაი, ოსტატობის კანდიდატი), 6. ზ. ლელჩუკი-პოპოვა (ვოროშილოვგრადი, ს. დ), 7. ი. ჩიოლუშკინა (ლვოვი, ს. ო.), 8. მ. შერემეტიევა, (კიშინიოვი, ო.), 9. ქ. კახიანი (თბილისი, ს. ო.), 10. ლ. სემიონოვა (კიევი, ს. დ.), 11. ნ. სიტნიკოვა (ლენინგრადი, ს. ო.), 12. გ. სახატოვა, 13. ფ. უსკოვა (ორივე — ალმა-ათა, ორივე — ს. ო.), 14. ა. შაფრანსკა (რიგა, ო.) 15. ფ. ველიხანლი (ბაქო, ო.), 16. ი. უმანსკაია (მოსკოვი, ო.), 17. ა. სოფიევა (ბაქო, ს. ო.) 18. მ. ნეპეინა (ვოროშილოვგრადი, ო. კ.).

სამწუხაროდ, ცუდად აიღო სტარტი ქეთევან კახიანმა, რომელმაც პირველ სამ ტურში ნახევარი ქულა მოაგროვა და მხოლოდ IV ტურში შეძლო პირველი გამარჯვების მოპოვება. ეს მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა ჭადრაკის გულშემატკივრებისთვის, ქეთევანს, ხომ წლეულს არც ერთ შეჯიბრებაში არ მოსცარვია ხელი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალგაზრდა თბილისელი საერთაშორისო ოსტატი და მისი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი ყველაფერს იღონებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, წინ ხომ მათ კიდევ დიდი გზა უძევთ.

4 ტურის შემდეგ სიტნიკოვასა და სოფიევას 3-3 ქულა აქვთ, პრუდნიკოვას — 2,5 (1), ხარკოვას, დომკუტეს, ჩიოლუშკინასა და შერემეტიევას — 2,5-2,5.

ახლა გთავაზობთ პირველი ოთხი ტურის ტექნიკურ შედეგებს.

**I ტური:** კოზლოვსკაია — უმანსკაია 1:0, ლელჩუკი-პოპოვა — უსკოვა 1:0, ჩიოლუშკინა — სახატოვა 0:1, კახიანი — სემიონოვა 0:1, დიომინა — ველიხანლი 0,5:0,5, დომკუტე — შაფრანსკა 0,5:0,5. გადაიდო ხარკოვა — სოფიევასა და შერემეტიევა — სიტნიკოვას შეხვედრები. არ შედგა პრუდნიკოვა — ნეპეინას პარტია; **II ტური:** სოფიევა — კოზლოვსკაია 1:0, შაფრანსკა — ლელჩუკი-პოპოვა 1:0, სიტნიკოვა—კახიანი 1:0, უსკოვა — ჩიოლუშკინა 0:1, ველიხანლი — დომკუტე 0:1, სახატოვა — შერემეტიევა 0:1, პრუდნიკოვა — ხარკოვა 0,5:0,5, ნეპეინა — სემიონოვა 0,5:0,5. გადაიდო უმანსკაია — დიომინას შეხვედრა; **III ტური:** ხარკოვა — ნეპეინა 1:0. დომკუტე— უმანსკაია 1:0, ჩიოლუშკინა — შაფრანსკა 1:0, სემიონოვა — სიტნიკოვა 0:1, დიომინა — სოფიევა 0,5:0,5, ლელჩუკი-პოპოვა — ველიხანლი 0,5:0,5, კახიანი — სახატოვა 0,5:0,5. გადაიდო კოზლოვსკაია — პრუდნიკოვასა და შერემეტიევა — უსკოვას პარტიები. **IV ტური:** პრუდნიკოვა — დიომინა 1:0, სოფიევა — დომკუტე 1:0, ნეპეინა — სიტნიკოვა 1:0, შაფრანსკა — შერემეტიევა 0:1, უსკოვა — კახიანი 0:1, უმანსკაია — ლელჩუკი-პოპოვა 0,5:0,5, ხარკოვა — კოზლოვსკაია 0,5:0,5, ველიხანლი — ჩიოლუშკინა — 0,5:0,5. გადაიდო სახატოვა — სემიონოვას შეხვედრა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას შერემეტიევა დამარცხდა სიტნიკოვასთან, ხოლო ხარკოვა და სოფიევა დაზავდნენ (ორივე — I ტურის შეხვედრებიდან), **II ტური:** უმანსკაია — დიომინა 0,5:0,5; **III ტური:** შერემეტიევა— უსკოვა 0,5:0,5. **I ტურის** გამოტოვებულ პარტიაში პრუდნიკოვამ დაამარცხა ნეპეინა.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘᲗ

**ᲛᲝᲮᲓᲐ** ისე, რომ სულ ახლახან ლიუცერნში (შვეიცარია) დამთავრებულ მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატს ევროპის გუნდური პირველობა მოჰყვა. ოღონდ, ეს შეჯიბრება დღეს დაიწყება ისრაელის ქ. ჰაიფაში, რომელსაც უკვე აქვს დიდი მასშტაბის ასპარეზობების გამართვის გამოცდილება — 1966 წელს აქ საერთაშორისო ოლიმპიადა ანუ „ერების ტურნირი" გაიმართა.

ევროპის პირველობაზე 24 გუნდი ითამაშებს, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად. მიმომხილველები მოელიან, რომ ბრძოლა გაცილებით უფრო მძაფრი იქნება, ვიდრე ლიუცერნში, სადაც საბჭოთა ნაკრებმა პრაქტიკულად უკონკურენციოდ მოიპოვა ჩემპიონობა. ამას თუნდაც ისიც განაპირობებს, რომ საბჭოთა ნაკრებში კვლავ არ იქნება მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი და არც ის დიდოსტატები, რომლებიც ლიუცერნში გამოდიოდნენ. ჰაიფაში განახლებული გუნდი გაემგზავრება, მის ღირსებას თბილისელი საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილიც დაიცავს.

იუგოსლავიელებმა საკმაოდ ხანგრძლივი მარცხიანი გამოსვლების შემდეგ ლიუცერნში II ადგილი დაიკავეს და ახლაც საპრიზო ადგილების პრეტენდენტებად ითვლებიან. მაგრამ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი — იუგოსლავიელთა „საკავშირო კაპიტანმა" (ჩვენებურად — ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა) ბორა ივკოვმა გადაწყვეტილება მიიღო ჰაიფაში არ გაემგზავროს არც ერთი ის დიდოსტატი, ლიუცერნში რომ გამოდიოდა (ლიუბოევიჩი, ნიკოლიჩი, პოპოვიჩი). ერთი სიტყვით, იუგოსლავიელები ჰაიფაში ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშებენ. რა თქმა უნდა, ინგლისელებსაც უნდა დაეტყოთ შორტის არყოფნა, ჰოლანდიელებს კი — ტიმანისა. ეს ორი გამოჩენილი დიდოსტატი ახლა ბელგრადის სუპერტურნირში გამოდის.

ევროპის წამყვანი ნაკრები გუნდების ასეთმა შესუსტებამ ოპტიმისტურად უნდა განაწყოს დანარჩენი პრეტენდენტები. უნგრელთა კოლექტივი შესამჩნევად გაახალგაზრდავებულია. ამ ქვეყნის ვეტერანმა დიდოსტატებმა, რომლებიც წლების განმავლობაში როგორც ოლიმპიადებში, ისე ევროპის პირველობებზეც ვერცხლის მედლებს ეუფლებოდნენ, ახლა მიატოვეს ასპარეზი და გზა ახალგაზრდა მოჭადრაკეებს დაუთმეს. საფრანგეთის ნაკრებს აქამდე რაიმე სერიოზული წარმატება არ ჰქონია, მაგრამ ახლა იმედის თვალით უყურებს მომავალს. საქმე ის არის, რომ ამ ქვეყანაში დაწინაურდა ნიჭიერ ოსტატთა მთელი ჯგუფი, სადაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, 17 წლის ჟოელ ლოტიე. საყურადღებოა, რომ ლოტიემ წელს სამჯერ შეასრულა დიდოსტატის ნორმა. საფრანგეთის ნაკრებიდან პირველ დაფაზე, მსოფლიოს ექსჩემპიონი ბორის სპასკი ითამაშებს. ჩეხოსლოვაკიის გუნდს დიდოსტატები ლუბომირ ფტაჩნიკი და იან სმეიკალი ეყოლებათ სათავეში. დანარჩენ დაფებზეც საკმაოდ გამოცდილი და ძლიერი მოჭადრაკეები თამაშობენ, ისე რომ, ამ ნაკრებს საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის უდავო პრეტენზია ექნება. იგივე ითქმის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებზეც, სადაც პირველ დაფებზე რობერტ ჰიუბნერი და ვლასტიმილ ჰორტი ითამაშებენ. ჰორტი, როგორც ცნობილია, მრავალი წლის მანძილზე ჩეხოსლოვაკიის გუნდის ლიდერი იყო, ახლა კი დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს. ჩვენი აზრით, საპრიზო ადგილის კიდევ ერთი პრეტენდენტი ბულგარეთის ნაკრები იქნება, რომელიც მთლიანად დიდოსტატებისგან შედგება, ხოლო მისი ლიდერი კირილ გეორგიევი ახლა მსოფლიოს წამყვანი მოჭადრაკეების ვიწრო წრეს მიეკუთვნება.

ბრძოლაში ჩაებმებიან, აგრეთვე, პოლონეთის, საბერძნეთის, იტალიის, პორტუგალიის, შოტლანდიის, უელსის, ბელგიის, ავსტრიის, შვეიცარიის, ნორვეგიის, თურქეთის, ესპანეთის, ლუქსემბურგის, კიპროსისა და ისრაელის გუნდები. ესპანეთის ნაკრები, რომელიც ახალგაზრდა მოჭადრაკეებისგან შედგება, ასპარეზობისთვის ქართველმა დიდოსტატმა თამაზ გიორგაძემ მოამზადა. მისი ხელმძღვანელობით ესპანელებს უკვე სერიოზული წარმატებები აქვთ, განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ დიუბაის (არაბთა გაერთიანებული საემიროები) ოლიმპიადაზე. საბერძნეთის ნაკრებს კარგა ხანს ამზადებდა ცნობილი საბჭოთა დიდოსტატი ეფიმ გელერი.

ევროპის პირველობა 3 დეკემბრამდე გასტანს.

**ᲒᲘᲒᲘ ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.**

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ




## ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲚᲘᲗ...

**ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ** საავტომობილო ფედერაციის (ფია) პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ფრანგი ჟან-მარი ბალესტრი. ამრიგად, მისი მანდატი კიდევ ოთხი წლით გაგრძელდა.

ფია-ს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად დაუჭირა მხარი 68 წლის ბალესტრის კანდიდატურას. ფია თავის რიგებში აერთიანებს მსოფლიოს ყველა საავტომობილო კლუბს. ბალესტრი, ამასთან, ფია-ს შემადგენლობაში შემავალ საერთაშორისო საავტომობილო სპორტის ფედერაციის (ფისა) პრეზიდენტიცაა.

## ᲛᲔᲜᲡᲔᲚᲘᲡ „ᲡᲐᲥᲛᲔ" ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

**„ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡ"** გუნდის აზრით, ნაჯელ მენსელის საქმე არ იყო განხილული სამართლიანად, რის გამოც თავისი პრეტენზიები წაუყენა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციას (ფისა).

ფისა-ს პრეზიდენტის ჟან-მარი ბალესტრის განცხადებაზე, რომ აპელაცია მენსელის 50.000 დოლარით დაჯარიმების თაობაზე განიხილება დამატებით, „ფერარის" წარმომადგენელმა ფრანკო ლიისტრომ თქვა: „საქმე მიკერძოებით განიხილეს. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც არ ისმენენ ბრალდებულის აზრს. მენსელს კი, უბრალოდ, არ შეეძლო, ერთდროულად ყოფილიყო პორტუგალიაში, სადაც საქმე ირჩეოდა და იაპონიაში, სადაც რბოლა მიმდინარეობდა".

„ფერარიმ" მოითხოვა გადაედოთ საქმის მოსმენის ვადა. ამასთან ლიისტროს არავითარი რეაგირება არ გაუკეთებია ბალესტრის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ ფისა-ს ავტოსპორტის მსოფლიო საბჭომ დაამტკიცა მენსელის დისკვალიფიკაცია ესპანეთის „გრან პრის" გათამაშებაზე. „ფერარიმ" ცნობად მიიღო ეს გადაწყვეტილება, ამით კი ყველაფერი ნათქვამია" — განაცხადა ლიისტრომ.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღება გადადებულია. ბალესტრის განცხადებით სასამართლოს არა აქვს უფლება მიიღოს დადგენილება ამ საქმის თაობაზე მანამ, სანამ არ გაიმართება პორტუგალიის ტრიბუნალის სხდომა.

## ᲙᲐᲜᲙᲣᲜᲔᲜᲘ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ „ᲚᲐᲜᲩᲘᲐᲡ"

**ᲤᲘᲜᲔᲚᲘ** რალისტი იუხა კანკუნენი „ტოიოტასთან" ორწლიანი კონტრაქტის შემდეგ კვლავ ბრუნდება იტალიური „ლანჩიას" „საჯინიბოში". შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ ფირმის მანქანით მოიპოვა მან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 1987 წელს. მანამდე, 1986 წელს, კანკუნენი მსოფლიო ჩემპიონი გახდა „პეჟოთი".

„ლანჩიაში" იგი შეცვლის თავის თანამემამულეს მარკუ ალენს, რომელიც მომავალ წელს იაპონური „სუბარუს" გუნდში გადავა და ახალი ავტომანქანით, „ლეგასით" იასპარეზებს. „ტოიოტაში" კი ვაკანტურ ადგილს დაიკავებს შვედი მიქაელ ერიკსონი.

## ᲩᲘᲕᲔᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ

**„ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1"** რბოლებში მონაწილე პილოტმა ედი ჩივერმა, რომელიც 1989 წლის სეზონში „ეროუზის" ფირმის ავტომანქანით ასპარეზობდა, ხელი მოაწერა ერთწლიან კონტრაქტს „იაგუარის" გუნდთან და გაისად მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს „სპორტპროტოტიპის" კლასის ავტომანქანებით.

## ᲔᲥᲡᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

**ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ** ოთხი ექსჩემპიონი მიიღებს მონაწილეობას რალში „ლომბარდ რაკი", რომელიც ინგლისში გაიმართება. ოთხივე მრბოლი ფინელია: ჰანუ მიკოლა, ტიმო სალონენი, იუხა კანკუნენი, არი ვიატიანენი.

## ᲤᲘᲢᲘᲞᲐᲚᲓᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲐᲭᲔᲡᲗᲐᲜᲐᲐ

**ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ** ყოფილი ორგზის ჩემპიონი „ფორმულა 1" ავტომანქანებით რბოლაში, 42 წლის ბრაზილიელი ემერსონ ფიტიპალდი აგრძელებს თავის სპორტულ კარიერას. მან დატოვა „პატრიკის" გუნდი და როჯერ პენსკეს „საჯინიბოს" შეუერთდა. ინდიანოპოლის-500"-ის წლევანდელ რბოლაში გამარჯვების შემდეგ, მიმომხილველთა აზრით, ფიტიპალდი რიკ მირსთან და დენი სალივენთან ერთად პრაქტიკულად დაუმარცხებელ გუნდს შექმნიან. ამავე აზრისაა თავად ფიტიპალდიც: „ბევრი თვლის, რომ ჩემი ახალი გუნდი — სუპერგუნდია. მე ვეთანხმები მათ".

## ᲡᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ „ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲒᲠᲐᲜ ᲞᲠᲘ"?

**1990 ᲬᲚᲘᲡ** „ავსტრალიის გრან პრის" გათამაშება მოტორბოლაში შეიძლება არ შედგეს ორგანიზატორთა შორის უთანხმოების გამო. ავსტრალიის ავტოკავშირი (აკა) იმუქრება საქმს სასამართლოში გადაცემით იმ შემთხვევაში, თუ რბოლას ჩვეული ადგილიდან, ფილიპის კუნძულიდან სიდნეიში გადაიტანენ.

ახალი სამხრეთის უელსის შტატის პრემიერ-მინისტრმა ნიკ გრეინერმა განაცხადა, რომ სიდნეიმ მომავალი ოთხი წლით მოიპოვა „გრან პრის" გამართვის უფლება. გამორიცხული არაა ამ უფლების, შემდგომში, კიდევ ხუთი წლით გაგრძელება. ვიქტორიას შტატმა, რომლის შემადგენლობაშიც შედის ფილიპის კუნძული, რბოლის ჩატარების უფლება დაკარგა იმის გამო, რომ აქ, შტატის კანონით, აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის რეკლამა. მაგრამ ავსტრალიის ავტოკავშირი მტკიცედ დგას იმ აზრზე, რომ რბოლა უწინდებურად ფილიპის კუნძულზე გაიმართოს. კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭო არ დათანხმდება „ავსტრალიის გრან პრის" სხვაგან გამართვაზე. მიუხედავად ამისა, გრეინერი თვლის, რომ ორგანიზატორებს ყველა უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ რბოლის ჩატარების ადგილი.

# ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲗᲐᲡᲖᲔ

**ᲓᲦᲔᲡ** ევროპის სტადიონებზე გაიმართება უეფა-ს თასის პირველი მერვედფინალური შეხვედრები. ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის ტურნირებისგან განსხვავებით უეფა-ს თასზე მონაწილე ფეხბურთელთა გუნდები შემოდგომით ერთი ტურით მეტ შეხვედრებს ატარებენ, რათა შემდგომი წლის გაზაფხულისთვის გამოავლინონ მეოთხედფინალის მონაწილენი. რა თქმა უნდა, ეს თამაშები დიდ ინტერესს იწვევს, კერძოდ, ერთმანეთს შეხვდებიან იტალიის „ნაპოლი" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ვერდერი", ბელგიის „ანტვერპენი" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტი", იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა" და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კიოლნი" და სხვანი.

ევროპის საკლუბო ტურნირებში საბჭოთა გუნდებთაგან გათამაშებას შემორჩნენ მხოლოდ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" და კიევის „დინამო", დანარჩენი ოთხი გუნდი ტურნირებს გამოეთიშა ადრინდელ ეტაპებზე და კიევის დინამოელებსაც უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალურ ეტაპზე ძლიერი მეტოქე შეხვდათ — იტალიის „ფიორენტინა".

საინტერესოა, რომ კიევის „დინამოს" და იტალიის „ფიორენტინას" ერთმანეთთან ამ ტურნირებში ადრეც უთამაშიათ: ჩემპიონთა თასის გათამაშებაში 1969 წლის ნოემბერში სწორედ მერვედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს კიევის „დინამო" და „ფიორენტინა", მაშინ 2 მატჩში გამარჯვება წილად ხვდა „ფიორენტინას" — 2:1 და 0:0.

იტალიაში ეროვნული ფეხბურთის სამშობლოდ ტოსკანის ოლქი და მისი დედაქალაქი ფლორენცია მიაჩნიათ და „ფიორენტინაც" სწორედ ფლორენციის წარმომადგენელია. ოდესღაც ამ გუნდში გამოდიოდნენ გამოჩენილი ფეხბურთელები კიარუჯი, დე სისტი, მერლო, „ფიორენტინაში" სათამაშოდ გადმოვიდა ბრაზილიელი მსოფლიო ჩემპიონი ამარილდო, მომდევნო წლებში „ფიორენტინას" შემადგენლობაში გამოდიოდნენ ჯენტილე, ანტონიონი, გალი, მსოფლიო ჩემპიონი არგენტინელი პასარელა, გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელი სოკრატესი, შვედი ჰამრინი და სხვანი.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ საკლუბო ტურნირებში მონაწილე იტალიის ექვსი კლუბიდან ხუთი ბრძოლას განაგრძობს შემდგომ ეტაპებზე, ამიტომაც „ფიორენტინა" ყოველნაირად შეეცდება მხარი აუბას თავის თანამემამულე გუნდებს, მაგრამ ამავე დროს სსრ კავშირმა დიდი დანაკლისი განიცადა მიმდინარე შეჯიბრებებში, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ბრძოლას განაგრძობს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" და უეფა-ს თასზე — კიევის „დინამო", უკრაინის ორი საუკეთესო კოლექტივი. ცხადია, კიეველები ყველაფერს იღონებენ შეჯიბრების ამ ეტაპზე წარმატების მისაღწევად. სხვათა შორის, საპასუხო მატჩის გამართვა „ფიორენტინასთან" კიევის დინამოელებს განზრახული აქვთ თბილისის სტადიონზე.

იტალიის ჩემპიონატის განვლილ ტურში „ფიორენტინამ" თავის მინდორზე ანგარიშით 5:1 დაამარცხა „ასკოლი", ამ მატჩში 3 ბურთი გაიტანა იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა რობერტო ბაჯომ.

„ფიორენტინა" ეროვნულ ჩემპიონატში ამჟამად 11 ქულით მეათე ადგილზეა.

„ფიორენტინისა" და კიევის „დინამოს" პირველი მერვედფინალური მატჩის რეპორტაჟს საკავშირო ცენტრალური ტელევიზია I პროგრამით გადასცემს 23 საათიდან თბილისის დროით.

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ"

**47-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ**
**(19 ნოემბერი)**

1—2, 2—2, 3—2, 4—1, 5—2, 6—1, 7—1, 8—2, 9—1, 10—1, 11—2, 12—X, 13—X.

**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
Თ. ᲑᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ქაშ 88486. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 00351